ტონინო გუერას წიგნის „თბილი წვიმა“ წარდგენა

2025 წლის 4 ივნისს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ტონინო გუერას რომანის „თბილი წვიმა" ქართული თარგმანის პრეზენტაცია (მთარგმნელი - მწერალი, უსმა/USMA-ს პრეზიდიუმის წევრი, ქეთევან ტომარაძე, იტალიური ენის კონსულტანტი - ქეთევან გაგოშიძე, რედაქტორი - ემზარ კვიტაიშვილი).

ღონისძიება გაიმართა ტონინო გუერას სახელობის იტალიურ - ქართული ფონდისა და ორგანიზაცია „ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე" თაოსნობით.

რომანი გამოიცა „ტონინო გუერას ფონდის" თანადგომით.

დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ: ქეთევან ტომარაძე, მიხეილ მრევლიშვილი, ემზარ კვიტაიშვილი...





ჩვენს ქვეყანაში ვიზიტების შედეგად დაიბადა ტონინო გუერას მოგონებები საქართველოზე, სახელწოდებით „თბილიწვიმა“. შევბედე და მის გადმოქართულებას შევეცადე. ისეთი პირი უჩანს, წიგნს მიმდინარე წლის ზაფხულამდე მიიღებს მკითხველი.

ქეთევან ტომარაძე

ამონარიდი 1 მარტი 2024 წ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ N3